N 1063-49
10/11/2016

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელის
მოვალეობის შემსრულებელს ბ-ნ პაატა გოგოლაძეს
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის
ვლადიმერ გელაშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის N 43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული ა(ა)იპ-ების მომართვების საფუძველზე მიმდინარე 2016 წლის ნოემბრის თვის შრომის ანაზღაურების ხარჯებისა და სხვა გადაუდებელი ხარჯების დასაფინანსებლად დამატებით ესაჭიროებათ სუბსიდია 170.0 ათასი ლარის ოდენობით,

მათ შორის შრომის ანაზღაურების ხარჯებისათვის 152,9 ათასი ლარი და 17,1 ათასი ლარი დანარჩენი ხარჯებისათვის.

მათ შორის:

- ა(ა)იპ ,,ხარაგაულდასუფთავებას'' - 45,0 ათ. ლარი;
- ა(ა)იპ ,,ხარაგაულკეთილმოწყობას" 24,0 ათასი ლარი (გარე განათება -6,0 ათ. ლარი და პარკები და სკვერები 18,0 ათასი ლარი);

- ა(ა)იპ ,,სკოლამდელდაწესებულებათა გაერთიანებას“ 65,0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ კულტურის ცენტრს - 20,3 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ ცენტრალური ბიბლიოთეკას - 15,0 ათასი ლარი;
- ა(ა)იპ ისტორიული მუზეუმს – 0,7 ათასი ლარით.

იმის გამო რომ მუნიციპალიტეტს არ გააჩნია აღნიშნული ხარჯების დასაფარავად შემოსავლების სხვა წყარო, საჭიროა მიმდინარე წლის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამებსა და ღონისძიებებში მოხდეს ცვლილება, კერძოდ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ათი თვის ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების ანგარიშიდან გამომდინარე შესაძლებელია მუნიციპალიტეტის პროგრამულ ბიუჯეტში **შემცირდეს:**

- ,,ხიდების, ბოგირების აშენება, შეკეთება“ ქვეპროგრამის კოდი 03 01 00 - 35,0 ათასი ლარით;
- ,,სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების, დამბებისა და წყლის შემკრები ავზების მოწყობა'' ქვეპროგრამის კოდი 03 02 01 - 19,9 ათასი ლარით;
- ,,წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ქვეპროგრამის კოდი 03 02 04 - 50,0 ათასი ლარით;
- ,,კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია“ ქვეპროგრამის კოდი 03 02 06 - 13,0 ათასი ლარით;
- ,,სოფლის მეურნეობის დაფინანსება“ ქვეპროგრამის კოდი 03 06 - 5,0 ათასი ლარით;
- ,,სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა“ ქვეპროგრამის კოდი 06 02 03 - 15,1 ათასი ლარით;
- ,,სარეზერვო ფონდი '' ქვეპროგრამის კოდი 01 03- 20,0 ათასი ლარით;
- ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობისა და დახმარების ხარჯები“ ქვეპროგრამის კოდი 06 02 02 - 12,0 ათასი ლარით;

გაიზარდოს:

- ,,დასუფთავების ღონისძიებები და მაწანწალა ძაღლების იზოლაცია“ ქვეპროგრამის კოდი

03 02 02 - 45,0 ათასი ლარით , ა(ა)იპ ,,ხარაგაულდასუფთავება“’

- ,,გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია“ ქვეპროგრამის კოდი 03 02 05 - 6,0 ათასი ლარით, ა(ა)იპ ,,ხარაგაულკეთილმოწყობა“
- ,,პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები“ ქვეპროგრამის კოდი 03 04 01 - 18,0 ათასი ლარით, ა(ა)იპ ,,ხარაგაულკეთილმოწყობა“
- ,,სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა“ ქვეპროგრამის კოდი 04 01 - 65, 0 ათასი ლარით, ა(ა)იპ ,,სკოლამდელდაწესებულებათა გაერთიანება“
- ა(ა)იპ კულტურის ცენტრი ქვეპროგრამის კოდი 05 02 03 - 20,3 ათასი ლარით;
- ა(ა)იპ ცენტრალური ბიბლიოთეკა ქვეპროგრამის კოდი 05 02 04 - 15,0 ათასი ლარით;
- ა(ა)იპ ისტორიული მუზეუმი ქვეპროგრამის კოდი 05 02 05 – 0,7 ათასი ლარით.

ვლადიმერ გელაშვილი



საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი